საქართველოს დამფუძნებელი კრების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებები

ქრონიკა

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების (პარლამენტის) 100 წლისთავის აღსანიშნავად საქართველოს პარლამენტში შეიქმნა საიუბილეო კომისია პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ვოლსკის ხელმძღვანელობით.

ქართული პარლამენტარიზმის 100 წლისთავი 2019 წლის 12 მარტს აღინიშნება. საიუბილეოდ, დაიგეგმა ღონისძიებები, მათ შორის დამფუძნებელი კრების საქმიანობის ამსახველი დოკუმენტური ფილმის გადაღება. დამზადდება საიუბილეო მონეტა, დაიბეჭდება ამ თარიღისადმი მიძღვნილი საფოსტო მარკების ბლოკი, ეროვნული ბიბლიოთეკა გამოსცემს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების სხდომების სტენოგრაფიული ანგარიშების ექვსტომეულს. საიუბილეო დღეებში მოეწყობა დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ არსებული გამოცემების გამოფენა. გამოიფინება 1918-1921 წლებში საქართველოში გამოცემული წიგნები, ჟურნალები და გაზეთები, ასევე მოეწყობა 1918-1921 წლებში საქართველოში მოღვაწე მხატვართა ნამუშევრების გამოფენა. ჩატარდება სამეცნიერო კონფერენცია, სკოლებში მოსწავლეები ჩაატარებენ კვლევას სხვადასხვა ოჯახში დაცული და საზოგადოებისათვის ჯერ კიდევ უცნობი ფოტოების, პირადი წერილების და სხვა სახის მასალის მოძიების მიზნით. დაგეგმილია კიდევ მრავალი ღონისძიება.

http://www.parliament.ge/ge/parlamentarebi/deputy-chairmen/volski-giorgi/news-volski/saqartvelos-demokratiuli-respublikis-damfudznebeli-krebis-parlamentis-100-wlis-iubilis-mosamzadebeli-komisiis-sxdoma.page

http://www.newpress.ge/qartuli-parlamentarizmis-100-wlistavi-2019-wlis-12-marts-arinishneba

---

საქართველოს პირველი რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების არჩევის 100 წლის აღსანიშნავ საიუბილეო ღონისძიებებთან დაკავშირებით შექმნილი კომისიის ბოლო, შემაჯამებელი სხდომაზე კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ვოლსკიმ კომისიის წევრებს და ჟურნალისტებს საიუბილეო ღონისძიებების რიგითობა გააცნო.

„1919 წლის 12 მარტს, დღევანდელ მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში გაიხსნა პირველი დამფუძნებელი კრება და ამ ისტორიული მოვლენის აღსანიშნავად თბილისში და ქვეყნის მასშტაბით, არაერთი ღონისძიება დაიგეგმა. აღსანიშნავია, რომ საიუბილეო ღონისძიებებს უმაღლესი სასწავლებლები, სასკოლო დაწესებულებები და საგამოფენო დარბაზები უმასპინძლებენ“.

2019 წლის 12 მარტის ღონისძიებები ქაშვეთის ეკლესიიდან დაიწყება, სადაც პარაკლისს გადაიხდიან. შემდგომ ვერის სასაფლაოზე აღმოჩენილ, დამფუძნებელი კრების წევრის, სილიბისტრო ჯიბლაძის საფლავის მონახულება იგეგმება. ზუსტად 12:00 საათზე მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში ესეების კონკურსში გამარჯვებული სტუდენტების დაჯილდოვების ცერემონია დაიწყება. პარლამენტის თავმჯდომარე ღონისძიებაზე მყოფ საზოგადოებას მიმართავს და ეროვნულ ბიბლიოთეკაში შერჩეულ საუკეთესო ნაშრომების ავტორებს დააჯილდოვებს. საიუბილეო ღონისძიებები 18:00 საათზე, შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის ფოიეში გახსნილი გამოფენის დათვალიერებით გაგრძელდება.

ღონისძიების ფარგლებში, გაიმართება რეჟისორ რობერტ სტურუას მიერ დადგმული სპექტაკლის ჩვენება. დამფუძნებელი კრების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებები საიუბილეო საღამოზე მოწვეული სტუმრებისთვის გამართული საზეიმო მიღებით დასრულდება.

https://www.prof-news.com/12-%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%A1-%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2/

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, საქართველოს პარლამენტთან თანამშრომლობით, გამოაცხადა მოსწავლეთა ესეების კონკურსი, რომელიც ეძღვნება დამფუძნებელი კრების 1919 წლის 12 მარტის პირველი სხდომის 100 წლის იუბილეს.

https://www.mes.gov.ge/content.php?id=8967&lang=geo

2019 წლის 29 მაისს, საქართველოს პარლამენტში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების (პარლამენტის) 100 წლისთავთან დაკავშირებით, სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა.

სამეცნიერო კონფერენცია, რომლის თემა იყო „საქართველოს დამფუძნებელი კრება - ქართული პარლამენტარიზმის გამოცდილება“, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ამავე სახელწოდების გრანტის ფარგლებში მოეწყო (ხელმძღვანელი პროფ. მალხაზ მაცაბერიძე).

კონფერენცია პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ, საიუბილეო საპარლამენტო კომისიის ხელმძღვანელმა, გიორგი ვოლსკიმ გახსნა.

პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ მადლობა გადაუხადა საიუბილეო კომისიის წევრებს, ყველას, ვინც ქართული პარლამენტარიზმის 100 წლის საიუბილეო ღონისძიებების დაგეგმვაში და განხორციელებაში მიიღო მონაწილეობა. „განსაკუთრებული მადლობა მინდა ვუთხრა ოთარ ჯანელიძეს და მალხაზ მაცაბერიძეს, რომლებიც იყვნენ იმ კომისიის წევრები, რომელიც ამზადებდა პარლამენტარიზმის 100 წლის საიუბილეო ღონისძიებებს, მადლობა განათლების სამინისტროს, სახელმწიფო უნივერსიტეტს, ტექნიკურ უნივერსიტეტს, თელავის, ბათუმის, ახალციხის და ყველა უნივერსიტეტს, მუზეუმებს, იუსტიციის სამინისტროს, არქივს, იმ შესანიშნავი დამოკიდებულებისათვის, რომელიც ჰქონდათ სწორედ ამ 100 წლისთავის აღნიშვნის დღეს“, - განაცხადა გიორგი ვოლსკიმ.

პროფესორმა მალხაზ მაცაბერიძემ საქართველოს პარლამენტს, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეს, გიორგი ვოლსკის და პარლამენტის აპარატის უფროსს, გივი მიქანაძეს თანადგომისთვის მადლობა გადაუხადა. მანვე მადლობა გადაუხადა ასევე რუსთაველის ფონდს პროექტის მხარდაჭერისთვის.

კონფერენციის მონაწილეებმა (მ. მაცაბერიძე, ო. ჯანელიძე, პ. სურგულაძე, ი. იაკობაშვილი, თ. ორჯონიკიძე, ნ. ზედგინიძე) წარმოადგინეს პრეზენტაციები ქართული პარლამენტარიზმის სათავეებთან, დამფუძნებელი კრების საარჩევნო დებულებასთან და დარღვევებთან, კრების საკანონმდებლო საქმიანობასთან, საპარლამენტო ეთიკის საკითხებთან, დამფუძნებელი კრების სტენოგრაფიულ ანგარიშებთან და დამფუძნებელ კრებაში ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა მონაწილეობასთან დაკავშირებით. ყურადღება გაამახვილა საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების მნიშვნელობაზე. კონფერენციის მუშაობაში საქართველოს უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მეცნიერები მონაწილეობდნენ.

https://www.interpressnews.ge/ka/article/549031-giorgi-volskim-sakartvelos-demokratiuli-respublikis-dampuznebeli-krebis-100-clistavtan-dakavshirebuli-samecniero-konperencia-gaxsna/

29 მაისს საქართველოს პარლამენტის პირველი რესპუბლიკის დარბაზმა უმასპინძლა კონფერენციას, რომელიც შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2018 წლის საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტის - „საქართველოს დამფუძნებელი კრება: ქართული პარლამენტარიზმის გამოცდილება“ - ფარგლებში გაიმართა.

პროექტს, რომელიც მიზნად ისახავს დამფუძნებელი კრების შესახებ ისტორიული მასალების შეკრება-მოძიებას და გაანალიზებას, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი მალხაზ მაცაბერიძე ხელმძღვანელობს, ხოლო განმახორციელებლები არიან: პროფესორები ოთარ ჯანელიძე, პაატა სურგულაძე, ირაკლი იაკობაშვილი და თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მიმართულების დოქტორანტები: ნათია ზედგენიძე და თამარ ორჯონიკიძე.

კონფერენცია, რომელიც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების (პარლამენტის) 100 წლისთავთან დაკავშირებით გაიმართა, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ, საიუბილეო საპარლამენტო კომისიის ხელმძღვანელმა გია ვოლსკიმ გახსნა. მან განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა პროექტის ავტორს და ხაზი გაუსვა პირველი დემოკრატიული პარლამენტის სამწლიანი არსებობის მნიშვნელობას საქართველოს ისტორიაში: „მადლობა მინდა გადავუხადო პროექტის ხელმძღვანელს და განმახორციელებლებს, განსაკუთრებით პროფესორებს მალხაზ მაცაბერიძეს და ოთარ ჯანელიძეს, რომლებიც, ამავე დროს, იყვნენ იმ კომისიის წევრები, რომლებიც ამზადებდნენ პარლამენტარიზმის 100 წლის საიუბილეო ღონისძიებებს. ისტორიული ფაქტების და მოვლენების მეცნიერული კვლევა და ანალიზი მნიშვნელოვანია. სწორედ ამ დროს უნდა გავიხედოთ მეცნიერებისკენ და მათ უნდა ვკითხოთ, რას ნიშნავდა ჩვენთვის ის სამი წელი, რა ტრადიცია იქნა შემოღებული და დანერგილი და რა რეალური სიტუაცია გვქონდა იმ პერიოდში. 100 წლის აღნიშვნა განაპირობა იმ უზარმაზარმა ძალისხმევამ და იმ სასახელო ისტორიამ, რაც იმ 3 წელიწადში საქართველოს ჰქონდა. კონსტიტუციას იღებდნენ მაშინ, როდესაც მტერი კარზე იყო მომდგარი და არაერთი ფრონტის ხაზი იყო გახსნილი.

გარდა ამისა, იმ პერიოდის სახე არიან ადამიანები, რომელთა ცხოვრებაც ჩვენთვის სამაგალითოა. რამდენი სკოლა გაიხსნა, რამდენი ნიჭიერი ახალგაზრდა გაემგზავრა საქართველოდან სასწავლებლად, რათა თავისი ქვეყნის სამსახურში ჩამდგარიყო, რამდენი მაღალი დონის ოფიცერი და გენერალი იქნა გამოვლენილი იმ პერიოდში, რომელიც დღესაც საამაყო და მისაბაძია ჩვენი სამხედროებისათვის. ამ სამმა წელმა გააკეთა ის, რასაც ისტორიის მანძილზე პერიოდული გამონათებები შეიძლება დავარქვათ“, - აღნიშნა მან.

კონფერენციაზე პაატა სურგულაძემ ქართული პარლამენტარიზმის სათავეები მიმოიხილა, ოთარ ჯანელიძემ დამსწრე საზოგადოებას საქართველოს დამფუძნებელი კრების საარჩევნო დებულება და არჩევნების პროცესში არსებული დარღვევები გააცნო, მალხაზ მაცაბერიძემ საქართველოს დამფუძნებელი კრების საკანონმდებლო საქმიანობა გააანალიზა, ხოლო ირაკლი იაკობაშვილმა წარადგინა დამფუძნებელი კრების სხდომების სტენოგრაფიული ანგარიშები, როგორც ქართული პარლამენტარიზმის ისტორიის წყარო. გამომსვლელთა შორის იყვნენ პროექტის მონაწილე დოქტორანტები. ნათია ზედგენიძემ და თამარ ორჯონიკიძემ დამფუძნებელი კრების საპარლამენტო ეთიკასა და ამავე კრებაში ეროვნული უმცირესობების ჩართულობაზე ისაუბრეს.

როგორც პროექტის ხელმძღვანელი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი მალხაზ მაცაბერიძე აღნიშნავს, საკმაოდ რთული პრობლემაა დამფუძნებელი კრების სხდომის ოქმების მოპოვება და ძველი სტენოგრაფიული ჩანაწერების მოძიება, მათ შორის ისეთი მნიშვნელოვანი სხდომებისა, როგორიც იყო საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ემიგრაციაში წასვლის თაობაზე. მალხაზ მაცაბერიძის თქმით, ჯერჯერობით, ამ ოქმს ვერ მიაკვლიეს, თუმცა, გარკვეულ მონაცემებზე დაყრდნობით, შესაძლებელია სხდომის რეკონსტრუქცია. მისივე თქმით, ყველაზე სამწუხარო ის ფაქტია, რომ დამფუძნებელი კრების საკითხი ასწლიან პერიოდში ამ კუთხით შეუსწავლელია: „მნიშვნელოვანია, საქართველოს დამფუძნებელი კრების, როგორც ქართული პარლამენტარიზმის დასაწყისის, მონოგრაფიული შესწავლა. მიუხედავად იმისა, რომ მას შემდეგ 100 წელი გავიდა, საკითხი ამ სახით შეუსწავლელია, რაც უპატიებელი რამ არის თანამედროვე ქართული მეცნიერებისათვის. ჩვენი კვლევა იქნება კომპლექსური ხასიათის. მასში გააანალიზდება არა მარტო ისტორიულ-ფაქტობრივი მასალა, არამედ დამფუძნებელი კრების სხდომებიც“, - ამბობს მალხაზ მაცაბერიძე.

თსუ-ის პროფესორი მიიჩნევს, რომ დამფუძნებელი კრების სხდომების სტენოგრამების ანალიზი კარგად წარმოაჩენს იმდროინდელ საპარლამენტო კულტურას და იმას, თუ როგორ ახერხებდნენ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები ერთმანეთთან თანამშრომლობას: „ჩვენ შეგვიძლია რაღაცების აღდგენა, გვაქვს უძვირფასესი მონაცემები ქართულ პარლამენტარიზმსა და მასში მყოფ საოცრად განათლებულ ადამიანებზე, რომლებიც ორატორული ნიჭით გამოირჩეოდნენ. მათ შორის სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან. სწორედ აღნიშნული პარტია უწყობდა განსაკუთრებულად ხელს დამფუძნებელ კრებაში ადამიანების წარმოჩენას გენდერული და ეროვნული ნიშნით. და ამიტომაც, პარლამენტში როგორც ქალები, ასევე ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლები შედიოდნენ“, - გვითხრა მან.

სამეცნიერო კონფერენციას პარლამენტარები, აპარატის თანამშრომლები, საქართველოს უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მეცნიერები, პროფესორები და სტუდენტები ესწრებოდნენ. კონფერენციაზე მოწვეულ სტუმრებს შორის იყო შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი ზვიად გაბისონიაც. აღნიშნული ფონდის დაფინანსებით პროექტი, „საქართველოს დამფუძნებელი კრება: ქართული პარლამენტარიზმის გამოცდილება“, 2019 წლის თებერვალში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი წარმომადგენლობითი ორგანოს დაარსებიდან 100 წლის თავზე დაიწყო და ის სიმბოლურად 3 წლის განმავლობაში გაგრძელდება.

http://newspaper.tsu.ge/ge/news/view/3prbK5Sv

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების პირველი სხდომის 100 წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, ღონისძიებები სხვადასხვა ლოკაციაზე გაიმართება – მათ შორის, ეროვნულ არქივში, მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლესა და რუსთაველის თეატრში. ღონისძიებები ქვეყნის ფარგლებს გარეთაც არის დაგეგმილი, კერძოდ: საზღვარგარეთ აკრედიტებულ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებში, ევროსაბჭოსა და სხვა საერთაშორისო ფორმატებში.

საიუბილეო დღეს, გვირგვინით შეამკობენ საფრანგეთში დაკრძალული ნიკოლოზ ჩხეიძის (დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე), უზბეკეთში დაკრძალული ალექსანდრე ლომთათიძის (დამფუძნებელი

კრების წევრი) და თბილისში დაკრძალული სილიბისტრო ჯიბლაძის (დამფუძნებელი კრების წევრი) საფლავებს.

დამზადდა საიუბილეო მედალიონები, რომლებიც საქართველოს პარლამენტის მუზეუმსა და ლევილის მამულს გადაეცემა.

საზეიმო დღეს უმაღლესი სასწავლებლები საჯარო ლექციებსა და თემატურ გამოფენებს უმასპინძლებენ, ხოლო საჯარო სკოლებში ერთი აკადემიური საათი საქართველოსს ისტორიული წარსულის აღნიშნულ მონაკვეთს დაეთმობა.

საიუბილეო თარიღს საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებსა და საჯარო სკოლებში მიეძღვნა ქართული პარლამენტარიზმის 100 წლის იუბილისადმი მიძღვნილი ესეების კონკურსი. 12 მარტს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე კონკურსში გამარჯვებულებს სასაჩუქრე მედალიონებით და სიგელებით დააჯილდოვებს.

ირაკლი კობახიძე მოწვეულ სტუმრებს რუსთაველის თეატრში უმასპინძლებს, სადაც თემატური გამოფენა და სპექტაკლი გაიმართება. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დამსწრეებს სიტყვით მიმართავს.

ქართული პარლამენტარიზმის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით, თემატური გამოფენები და საჯარო ლექციები დედაქალაქსა და ქვეყნის სხვადასხვა რეგიონშია დაგეგმილი.

საქართველოს ეროვნულ მუზეუმში გაიმართება პოსტერების გამოფენა, სადაც ფოტოების, ტექსტებისა და დოკუმენტების საშუალებით, ქართული პარლამენტარიზმის ისტორია იქნება მოთხრობილი. პარლამენტარიზმის ისტორიასთან დაკავშირებით, ეროვნულ მუზეუმში საჯარო ლექციაც გაიმართება.

მირზაანის ნიკო ფიროსმანაშვილის სახელმწიფო მუზეუმში დაგეგმილია დისკუსია თემაზე „პირველი პარლამენტარი ქალები“, სადაც მონაწილეობას ყოფილი და მოქმედი დეპუტატი ქალები მიიღებენ.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების პირველი სხდომის 100 წლის იუბილისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში მონაწილეობას საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წევრები, სასულიერო პირები, დიპლომატიური კორპუსის, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები მიიღებენ.

https://ipress.ge/new/khval-saqarthvelos-demokratiuli-respublikis-damphudznebeli-krebis-pirveli-skhdomis-100-tslis-iubile-gaimartheba/

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების (პარლამენტის) 100 წლის საიუბილეო თარიღის აღსანიშნად 5 ლარის ნომინალის ვერცხლის საკოლექციო მონეტა გამოუშვა. მონეტის დიზაინერი ნიტა გონგაძეა. 2 000 მონეტა პოლონეთის ზარაფხანაში მოიჭრა. ახალი საკოლექციო მონეტის გაყიდვა 2019 წლის 27 თებერვლიდან დაიწყება და მისი ფასი 75 ლარია.

http://www.tabula.ge/ge/story/144878-seb-ma-parlamentis-100-tslis-iubiles-aghsanishnavad-5-lariani-sakoleqcio-moneta

2020 წლის 27 თბერვლიდან დაიწყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების (პარლამენტის) 100 წლის საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი მონეტის რეალიზაცია.

მონეტის ავერსის მთავარ კომპოზიციას წარმოადგენს დამოუკიდებელი საქართველოს დროშის ფერებში შესრულებული ცენტრიდანული სხივებით დალაგებული არათანაბარი რგოლები, რაც სიმბოლურად გამოსახავს პირველი დემოკრატიული გზით არჩეული პარლამენტარების რიცხვს. მონეტის ცენტრში გამოსახულია ნომინალის აღმნიშვნელი ციფრი ლარის სიმბოლოსთან ერთად „5₾“, თარიღები „1919-2019“ და წარწერა „საქართველოს დამფუძნებელი კრება“.

მონეტის რევერსის მთავარ კომპოზიციას წარმოადგენს იმ შენობის გრაფიკული გამოსახულება, სადაც დამფუძნებელი კრების პირველი სხდომა ჩატარდა. მონეტაზე დატანილია წარწერები „საქართველო“, „ხუთი ლარი“ და „Georgia”.

სარეალიზაციო ფასი 75 ლარია.

მონეტების შეძენა შესაძლებელი იქნება, როგორც ეროვნული ბანკის საკასო ცენტრსა და ყვარლის ფულის მუზეუმში, ისე ეროვნული ბანკის ვებგვერდზე განთავსებული ინტერნეტ მაღაზიის მეშვეობით.

https://www.moneymuseum.nbg.gov.ge/index.php?m=8&news_id=24

2020 წლის 12 მარტს, ქართული პარლამენტარიზმის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში, საქართველოს ეროვნულ მუზეუმში გაიმართა პროფესორ ოთარ ჯანელიძის საჯარო ლექცია და პოსტერების გამოფენა სახელწოდებით „ქართული პარლამენტარიზმის 100 წელი - საქართველოს დამფუძნებელი კრება", სადაც

ფოტოების, ტექსტებისა და დოკუმენტების საშუალებით მოთხრობილია ქართული პარლამენტარიზმის ისტორია.

გამოფენა წარმოდგენილია სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმში და მისი ნახვა ნებისმიერ მსურველს მარტის ბოლომდე შეუძლია.

https://www.facebook.com/GNMuseum/photos/a.10155953908151269/10156050638581269/?type=1&theater

---

საქართველოს ლიტერატურის მუზეუმი 12 მარტს ქართული პარლამენტარიზმის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ გამოფენას უმასპინძლებს.

„გამოფენა, სახელწოდებით – საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებლები მოგვითხრობს, ვინ იყვნენ ჩვენი თანამედროვე სახელმწიფოს პირველი ფუძემდებლები; შრომისა და ბრძოლის რა გზა გაიარეს მათ – რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ საზოგადოებრივი და პოლიტიკური ბრძოლიდან მოყოლებული, საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის მიერ ფიზიკურ განადგურებამდე“, – აცხადებენ ლიტერატურის მუზეუმში.

მათივე ცნობით, გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება „საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიის“ მიერ წლების განმავლობაში სხვადასხვა არქივში, დეპუტატების შთამომავლების ოჯახებში მოპოვებული და ლიტერატურის მუზეუმის ფონდებში დაცული ფოტოები და დოკუმენტები.

https://1tv.ge/news/literaturis-muzeumi-qartuli-parlamentarizmis-100-wlistavisadmi-midzghvnil-gamofenas-umaspindzlebs/

http://sovlab.ge/ka/news/29

„ქართველი ხელოვანები - ქართული პარლამენტარიზმის 100 წელი“ - გამოფენას ამ სახელწოდებით საქართველოს ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმმა უმასპინძლა.

https://www.myvideo.ge/v/3761458

2019 წ, 3 დეკემბერს ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში ქართული პარლამენტარიზმის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით კონფერენცია გაიმართა. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო კადეტთა სამხედრო ლიცეუმის დირექტორმა პოლკოვნიკმა შალვა ძინძიბაძემ. ის აუდიტორიის წინაშე სპეციალური მოხსენებით წარსდგა და ისაუბრა თემაზე: „ქართული არმია -ეროვნული

სიძლიერის ინსტრუმენტი“. კონფერენციაში ასევე მონაწილეობას ღებულობდნენ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები: ომარ ნიშნიანიძე და სულხან კუპრაშვილი, საჯარო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი, პროფესორი გრიგოლ ქობალიანი, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს, ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმ-ნაკრძალის მცველი თამარ კუკულდავა. ღონისძიება ორგანიზებული იყო ფართოპროფილური არასამთავრობო ორგანიზაცია ,,პროგრესული თაობის“ მიერ.

https://cadet.mod.gov.ge/news/qartuli-parlamentarizmis-100-wlis-iubile

---

2019 წლის 12 მარტს აჭარის საარქივო სამმართველოში გაიმართა საქართველოს დამფუძნებელი კრების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება. ღონისძიება გახსნა და დამსწრე საზოგადოებას მიესალმა საარქივო სამმართველოს უფროსი მაია ივანიშვილი.

საჯარო ლექცია თემაზე - „საქართველოს დამფუძნებელი კრების“ -100 წლისთავი წაიკითხა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა, ასოცირებულმა პროფესორმა ჯემალ კარალიძემ.

http://adjara.gov.ge/branches/description.aspx?gtid=710365&gid=2#.XiHUJ8gzbIU

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების (პარლამენტის) 100 წლის იუბილე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში რამდენიმე ღონისძიებით აღინიშნება. 7 მარტს ბსუ-ს პროფესორ-მასწავლებლები საჯარო ლექციებს წაიკითხავენ და გაიხსნება ფოტოგამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება სტამბულის ქართულ სავანეში დაცული ფოტომასალა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების ამსახველი ფოტოები.

https://www.bsu.edu.ge/main/page/11784/index.html

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების პირველი სხდომის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით, საქართველოს მასშტაბით მართავს სტუდენტური ესეების კონკურსს „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრება - 100“. კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ სამივე საფეხურის სტუდენტებს.

საკონკურსო ესე უნდა შეეხებოდეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელ კრებასა და მასთან დაკავშირებულ საკითხებს: არჩევნები, პოლიტიკური პარტიები, ქალი დეპუტატები, ეთნიკური უმცირესობები, კრების მიერ მიღებული კანონები, კონსტიტუცია და სხვა.

საუკეთესო ნაშრომის ავტორებს, მიმდინარე წლის 12 მარტს, ღონისძიების ფარგლებში დააჯილდოებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.

http://www.tafu.edu.ge/wm.php?id=651&more=1

საქართველოს პირველი რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების პირველი სხდომის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ, საქართველოს პარლამენტთან თანამშრომლობით, სკოლის მოსწავლეებისა და სტუდენტებისთვის ესეების კონკურსი ჩატარდა.

კონკურსის მიზანი იყო ახალგაზრდების დაინტერესება და ცნობიერების ამაღლება საქართველოს პირველი რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოს - დამფუძნებელი კრების შესახებ, ასევე მათი დამოკიდებულების წარმოჩენა სახელმწიფოებრიობის პროცესში პარლამენტარიზმის როლის თაობაზე.

https://www.mes.gov.ge/content.php?id=9009&lang=geo

საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ (ცესკო) პირველი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნებიდან 100 წლის იუბილე ახალგაზრდებთან ერთად აღნიშნა. ცესკოს წარმომადგენლებმა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის საინფორმაციო აქცია გამართეს და პირველი დემოკრატიული არჩევნების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს.

ახალგაზრდებს გადაეცათ ბროშურები - „პირველი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნები დამოუკიდებელ საქართველოში“, რომელიც ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკასთან თანამშრომლობით და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მხარდაჭერით მოამზადა. ცესკოს წარმომადგენლებმა ახალგაზრდებს, ასევე გადასცეს იმდროინდელი ბიულეტენების ნიმუშები, რომლებიც სიმბოლურად საარჩევნო ყუთშიც მოათავსეს.

http://cesko.ge/geo/list/show/117215-100-tslis-tsin-damoukidebel-saqartveloshi-pirveli-sakoveltao-demokratiuli-archevnebi-gaimarta

პოლონეთის სენატის მისალოცი განცხადება

პოლონეთის სეიმი და სენატი, მ/წლის 12 მარტს, საქართველოს პირველი რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების არჩევის 100 წლის იუბილეს ულოცავს. ქართული პარლამენტარიზმის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით, პოლონეთის სეიმმა ელექტრონულ გვერდზე (https://goo.gl/Dvgijy) სპეციალური განცხადება გამოაქვეყნა:

„ქართული პარლამენტარიზმის 100 წლის იუბილე

2019 წლის 12 მარტს საქართველოში პარლამენტარიზმის 100 წლისთავი აღინიშნება. 1919 წლის თებერვალში საქართველოში საკანონმდებლო ორგანოს - დამფუძნებელი კრების პირველი საყოველთაო დემოკრატიული და მრავალპარტიული არჩევნები ჩატარდა. ასამბლეის მიერ არჩეული 130 პირიდან 23 ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი იყო, არჩეულ იქნა, ასევე 5 ქალი.

ბოლო წლებში, პოლონურ-ქართული საპარლამენტო ურთიერთობში გამოცოცხლება შეინიშნება. სტრატეგიული პარტნიორობის ხელშეკრულების ხელმოწერა იყო საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, ირაკლი კობახიძის 2017 წლის დეკემბრის პოლონეთში ვიზიტის მთავარი მიზანი.

სეიმის, სენატის მარშალებს და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს შორის გაფორმებულმა ხელშეკრულებამ ორივე ქვეყნის საპარლამენტო ურთიერთობები კიდევ უფრო მაღალ დონეზე დააყენა.

2018 წელს, რამდენჯერმე ჩატარდა შეხვედრები უმაღლეს საპარლამენტო დონეზე. ნოემბერში პოლონეთისა და საქართველოს საპარლამენტო ასამბლეის დებულებას მოეწერა ხელი. ეს იყო სეიმის მარშალის, მარეკ კუხჩინსკის თბილისში გამართული ორდღიანი ვიზიტის მთავარი მიზანი. ორივე ქვეყნის საპარლამენტო ასამბლეა შედგებოდა, ასევე სეიმისა და სენატის დეპუტატების დელეგაციისგან. 2018 წლის 25-30 ოქტომბერს, სეიმის და სენატის წარმომადგენლები აკვირდებოდნენ საქართველოში 28 ოქტომბერს გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებს.

2019 წლის 27-28 თებერვალს, ვარშავაში, პოლონეთისა და საქართველოს საპარლამენტო ასამბლეის პირველი პლენარული სესია გაიმართა. სენატის დარბაზში გამართული დებატების დროს, ორივე ქვეყ-

ნის პარლამენტარებმა საერთო ისტორიაზე და პოლონურ-ქართული ურთიერთობების გამოცდილებაზე იმსჯელეს, საქართველოს ნატო-ში და ევროკავშირში გაწევრიანების საკითხი და ხელისუფლების წინაშე მდგარი გამოწვევები განიხილეს.

„ასამბლეა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერას ადასტურებს“ - ვკითხულობთ სესიის დასკვნით დოკუმენტში. ღონისძიების პირველ დღეს, სენატში მიმდინარე სხდომის პარალელურად, გაიმართა ასევე, სეიმის მარშალის შეხვედრა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან“.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების პირველი სხდომის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით მოლოცვის ტექსტი გამოქვეყნდა, ასევე, სეიმისა და სენატის „Twitter“-ის გვერდებზეც. სენატის „Twitter“ : „დღეს განსაკუთრებული დღეა ქართველებისთვის. 12 მარტი 2019, გილოცავთ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების პირველი სხდომის 100 წლის იუბილეს“.

https://www.facebook.com/parliamentgeo/photos/-%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%98-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%AA%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%9D-%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90/2783937398312927/

2019 წლის 12 მარტს 11:00 საათიდან 17:00 საათამდე, საქართველოს დამფუძნებელი კრების პირველი სხდომიდან ზუსტად 100 წლის შემდეგ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის საგამოფენო პავილიონში მხოლოდ ერთი დღით გამოიფინება ეროვნულ არქივში ამ ისტორიული ფაქტის ამსახველი საარქივო დოკუმენტების დედნები:

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, მიღებული 1918 წლის 26 მაისს და დამტკიცებული 1919 წლის 12 მარტს, დამფუძნებელი კრე-

ბის პირველ სხდომაზე; 1919 წლის 12 მარტის დამფუძნებელი კრების პირველი სხდომის ოქმი და სტენოგრაფიული ანგარიში; სხდომის ფოტოები.

https://archive.gov.ge/index.php/ge/news/anonsi-gamofena-sakartvelos-damfudznebeli-kreba-100

საქართველოს პირველი რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების პირველი სხდომის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ, საქართველოს პარლამენტთან თანამშრომლობით, სკოლის მოსწავლეებისა და სტუდენტებისთვის ესეების კონკურსი ჩატარდა.

კონკურსის მიზანი იყო ახალგაზრდების დაინტერესება და ცნობიერების ამაღლება საქართველოს პირველი რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოს - დამფუძნებელი კრების შესახებ, ასევე მათი დამოკიდებულების წარმოჩენა სახელმწიფოებრიობის პროცესში პარლამენტარიზმის როლის თაობაზე.

https://www.mes.gov.ge/content.php?id=9009&lang=geo

თელავის ისტორიულ მუზეუმში ქართული პარლამენტარიზმის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა. საჯარო ლექცია წაიკითხა მუზეუმის დირექტორმა - გურამ ურჩუხიშვილმა. ღონისძიებას თელავის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები, საჯარო სკოლების პედაგოგები და მოსწავლეები ესწრებოდნენ.

http://telavi.gov.ge/ge/telavis-istoriul-muzeumshi-kartuli-parlamentarizmis-100-clistavi-aginishna

---

საქართველოს ეროვნული არქივი თიანეთის იუსტიციის სახლში გამართავს გამოფენას, რომელიც მოიცავს წერილობით და ფოტომასალას საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ. დამთვალიერებელი იხილავს დოკუმენტებს ისეთ მნიშვნელოვან მოვლენებზე, როგორიცაა: სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა და დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის ჩამოყალიბება; უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს – დამფუძნებელი კრების – არჩევნები, რომელშიც მონაწილეობა ორივე სქესის ამომრჩევლებმა მიიღეს და კანდიდატებად დარეგისტრიტებული 20-ზე მეტი ქალიდან დამფუძნებელ კრებაში ხუთმა ქალმა დაიკავა ადგილი; საქართველოს პირველი კონსტიტუციის მიღება და მრავალი სხვა.

http://events.gov.ge/event/thianethis-iustitsiis-sakhlshi-gaimartheba-gamophena/

2020 წლის 13 მარტს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოში გაიმართა საქართველოს დამფუძნებელი კრების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომელსაც ესწრებოდა საქართველოს პარლამენტის დელეგაცია ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარის სოფო კილაძის ხელმძღვანელობით, გერმანიის ბუნდესთაგის სამხრეთ კავკასიის საპარლამენტო მეგობრობის ჯგუფის წევრი დირკ ვიზე და ევროკავშირის საქმეთა კომიტეტის წევრი იოჰანეს შრაპსი.

ღონისძიების ფარგლებში გაიმართა საქართველოს დამფუძნებელი კრების შესახებ პრეზენტაცია და გამოფენა.

გერმანელმა დეპუტატებმა ვიდეო მიმართვით მიულოცეს საქართველოს პარლამენტარიზმის 100 წლისთავი.

http://botschaftgeorgien.de/ka/2019/03/14/%E1%83%92%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%93%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%9A-%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%A1/

დიდ ბრიტანეთში საქართველოს საპარლამენტო სისტემის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა.

გაერთიანებული სამეფოს პარლამენტში საქართველოს საკითხებზე პარტიათაშორისმა ჯგუფმა და ლონდონში საქართველოს საელჩომ ერთობლივად უმასპინძლეს ღონისძიებას, რომელიც საქართველოს საპარლამენტო სისტემის 100 წლისთავს მიეძღვნა. ღონისძიება გაერთიანებულ სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა თამარ ბერუჩაშვილმა და ჯგუფის ხელმძღვანელმა ჯონათან ჯანოგლიმ გახსნეს.

საქართველოს ელჩმა დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა. სიტყვით გამოსვლისას ელჩმა აღნიშნა, რომ ერთი საუკუნის წინ ახლად დაარსებულმა საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ საყოველთაო ფარული, თანაბარი, პირდაპირი კენჭისყრით აირჩია დამფუძნებელი კრება. პირველი ქართული საკანონმდებლო ორგანო დაფუძნებული იყო თავისუფლების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის პრინციპებზე. მრავალპარტიული ორგანო თითქმის ყველა ეთნიკური ჯგუფის ინტერესს წარმოადგენდა. კიდევ უფრო მნიშვნელოვანი მიღწევა იყო ის ფაქტი, რომ არჩევნების შედეგად კრების წევრი გახდა ხუთი ქალი, მათ შორის ერთი მუსლიმი აღმსარებლობის, იმ დროს,

როდესაც ევროპის უმრავლეს ქვეყნებში ქალებს ჯერ ხმის მიცემის უფლებაც არ ჰქონდათ.

იუბილეს ისტორიული მნიშვნელობის გარდა, ელჩმა ასევე ისაუბრა თანამედროვე საქართველოსთვის მის როლზე, რადგან დღევანდელი საქართველო დიდწილად სწორედ პირველი რესპუბლიკის დემოკრატიულ ღირებულებებზე, იდეებსა და მიდგომებზე აგრძელებს განვითარებას.

სტუმრებს საშუალება ჰქონდათ ღონისძიების ფარგლებში დაეთვალიერებინათ გამოფენა, რომელიც დამფუძნებელი კრების წევრების, მათი მთავარი მიღწევებისა და ზოგადად, კრებასთან დაკავშირებულ საინტერესო ფაქტებს მოიცავდა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო სტრუქტურების, დიდი ბრიტანეთის პარლამენტის ლორდთა და თემთა პალატის წევრები, ლონდონში აკრედიტებული დიპლომატიური მისიების და საერთაშორისო ორგანიზაციების, ბიზნესის, კულტურის, აკადემიური წრეების, მედიისა და ქართული დიასპორის წარმომადგენლები, ბრიტანული სასტიპენდიო პროგრამა „ჩივნინგის“ სტუდენტები. სტუმრებს შორის იყვნენ საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის გენერალური მდივანი კიტაკ ლიმი, დიდი ბრიტანეთის პარლამენტის თემთა და ლორდთა პალატის წევრები, მათ შორის საქართველოს საკითხებზე პარტიათაშორისი საპარლამენტო ჯგუფის ხელმძღვანელი ჯონათან ჯანოღლი, თავდაცვის სამინისტროს აღმოსავლეთ ევროპის დირექტორატის დელეგაცია. დასასრულს საელჩომ სტუმრებისთვის მიღება გამართა.

https://www.econews.ge/ka/news/362

http://mfa.gov.ge/News/londonshi-saqartvelos-damoukideblobis-dgisa-da-saq.aspx?CatID=5

ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში საქართველოს საელჩოსა და „ატლანტიკური საბჭოს“ ორგანიზებით საქართველოს პარლამენტარიზმის ასი წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა დავით ბაქრაძემ და საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ სოფიო ქაცარავამ პირველი ქართული პარლამენტის მნიშვნელობა-

სა და დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობაში პარლამენტარიზმის წვლილზე გაამახვილეს ყურადღება.

ღონისძიების ფარგლებში, ქართულ-ამერიკული ურთიერთობების 100 წლის ისტორია საგამომცემლო სახლმა „სახე(ლ)ებმა“ წარმოადგინა, რომელმაც New York Times-ის საერთაშორისო მედიაპროექტი- Turning Points Global Agenda-Georgia წარადგინა.

ღონისძიებას კანონმდებლები, რეგიონის მკვლევარები და საქართველოდან ჩასული სტუმრები დაესწრნენ.

https://imedinews.ge/ge/saqartvelo/102653/qartuli-parlamentarizmis-100-tslis-iubile-ashshshi-agnishnes

---

2019 წლის 31 მაისს შვედეთი-სტოკჰოლმის ისტორიის მუზეუმში,ბაროკოს დარბაზში საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო მიღება გაიმართა.

სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა მალხაზ კაკაბაძემ. ელჩმა ისაუბრა საქართველო-შვედეთის ურთიერთობებზე და ხალხთაშორისი კონტაქტების გაღრმავების მნიშვნელობაზე. „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ 10 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ელჩმა ხაზი გაუსვა შვედურ მხარესთან თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავების აუცილებლობას.

ღონისძიებაზე მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ შვედეთის ხელისუფლების, მათ შორის საგარეო საქმეთა სამინისტროს, თავდაცვის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, შეიარაღებული ძალების, საინვესტიციო სააგენტოების და სავაჭრო პალატების წარმომადგენლები, შვედეთში აკრედიტებული დიპლომატიური მისიების ხელმძღვანელები, კულტურული მოღვაწეები და ქართული დიასპორის წარმომადგენლები. ღონისძიებას ასევე ესწრებოდა ქართველი პოეტი, საქართველოს ჰიმნის ტექსტის ავტორი დავით მაღრაძე.

http://mfa.gov.ge/News/shvedetshi-saqartvelos-damoukideblobis-dgisadm-(1).aspx?CatID=5

შეადგინა ოთარ ჯანელიძემ